Erasmus+

სალექციო კურსი ადამიანური რესურსების მენეჯმენტის მიმართულებით, ლუბლინის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში

2022 წლის 6-10 ივნისს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოც. პროფ. თამარ ქაჯაიამ, Erasmus+ საერთაშორისო მობილობის პროექტის ფარგლებში, სწავლების მიზნით მობილობა განახორციელა ლუბლინის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში (ლუბლინი, პოლონეთი).

პროექტის ფარგლებში თამარ ქაჯაიამ წაიკითხა ლექციები „ადამიანური რესურსების მენეჯმენტის“ აქტუალურ თემებზე. მასპინძელი ორგანიზაციის თხოვნით წარადგინა პრეზენტაცია „როგორ დავიწყოთ ბიზნესი საქართველოში“ და მიიღო აქტიური მონაწილეობა ვორქშოფებში.

ვიზიტი კეთილგანწყობილ ურთიერთთანამშრომლობისა და ლუბლინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მონაწილეების მხრიდან აქტიურ მხარდამჭერ გარემოში წარიმართა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში გაზიარებული იქნა უნივერსიტეტში არსებული საუკეთესო პრაქტიკა და გამოცდილება.